გუთნის დედა

მშვიდობით, ხოდაბუნო, მშვენიერო და კარაო.
ამას იქით ვეღარ გხნავ, ასე უნდა დაგკარგო,
ცხენი დამზანტებია დრო მრავალ-გამოვლილი.
გდია თავ ჩამოგდებით ჩუთის წევით მოღლილი.
კვლავ მასც ჰქონდა ერთი დრო რომ რამდენსმე დღიურსა,
ერთის შებმით მოჰხნევდა, არ გაიბერტყდა ყურსა
ახლა გინდ ათი სახრეც კაცმა ზედ დაამტვრიოს
მგონია ერთი კვალიც რიგზე ვერ გააკვლიოს.

ნეტავი მას დროს, ცხენო, რომ ყელმოღერებული,
კუნტრუშით აბრუნებდი ბელტებს განხურვებული,
ახლა ასე მგონია, რაგინდ თავი აწყვიტო,
ბაწრითაც რომ დაგაბა, ისიც ვეღარ ასწყვიტო.
უწინ მწვე არ ვიტყოდი, ეს მიწა მაგარია,
ჩემთვის მაშინ სწორ იყო ველი, მთა და ბარია,
თუ გონებაზე ვიყავ, მაშინვე შევაბემდი
ჩემსა ჩუთს და სიმღერით ყამირსაც ლბილებრ ვხნევდი.
ზოგი მიწა მტკიცეა, ზოგი ხმელი, ქვიანი,
ზოგს ხირხატს ეძახიან, ზოგი არის წყლიანი,
მაგრამ სულ ტყუვილია, ადგილით რა იქმნება,
თუ მხვნელი თითონ ვარგობს, ყველგან ხლტომით იხვნება
ვინ დასდევდა ახოსა ეკლიანს, ძეძვიანსა,
ყველგან ვხნევდი და ვმკიდი ნაყოფს ბარაქიანსა,
მაგრამ ახლა სიბერემ მეც გამაწყო არჩევას,
ატყევებულთ ნახნავთა ვეღარ უბედ გარღვევას.
თუ ადგილი არ მომწონს ვჯავრობ, ვშფოთავ, ვღონდები,
მაგრამ ლბილთ ხოდაბუნთა კვალად ისევ ვეწყობი.
და იმათაც ასეთთა, რომ აბრეშუმებრ ბალახს
კრძალვით ძლივ გაებედვნოსთ თავის ჩენა იმ ალაგს
ეჰ, ნეტა რაღად მინდა რჩევა ალაგებისა.
რადგანც ღონე არა მაქვს არც ხვნის, არცა თესვისა.
ჭაბუკო მეგუთნენო! თქვენც ხართ, ვიყავ მე ვითა.
ამისთვის შემიბრალეთ ცრემლისა დათხევითა:
და თქვენ, ხოდაბუნებო, ჩემს მოხუცებულს ცხენსა. .
ბალახის მოძოვებით მაინც სცემდეთ ნუგეშსა.
თქვენს ხვნაზე ხელის ამღე მხოლოდ ჭვრეტით ვიხარებ
და თქვენს მწვანეზე სრბოლით გულის წყლულს დავიამებ.